

ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციის საფუძვლები (პრობლემები და პერსპექტივა)

თამარ ზამბახიძე*

„ახალი საინფორმაციო ეპოქა მოითხოვს ძველ პრობლემებთან ახლებურ მიდგომას“¹

კაცობრიობა XXI საუკუნეში ცივილიზაციის განვითარების ახალ ფაზაში შევიდა. ჩვენ ვცხოვრობთ საინფორმაციო ტექნოლოგიების მზარდი პროგრესისა და ე.წ. „ინტერნეტ-ქსპანსიის“ ეპოქაში.² თანამედროვე საზოგადოების ინფორმატიზაციამ მიაღწია ისეთ დონეს, რომ დღეს უკვე ძნელია წარმოვიდგინოთ ჩვენი საქმიანობის ესა თუ ის სფერო, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიები ამა თუ იმ ხარისხით არ გამოიყენება. „საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოებაზე ზემოქმედების ერთ-ერთი მეთად მნიშვნელოვანი ფაქტორია. მათი რევოლუციური ზემოქმედება ეხება ადამიანთა ცხოვრების წესს, მათ განათლებასა და სამუშაოს, ასევე მთავრობისა და სამოქალაქო საზოგადოების ურთიერთქმედებას. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები სწრაფად იქცევა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სასიცოცხლო მნიშვნელოვანი სტიმულად“³ – ასე იწყება გლობალური საინფორმაციო საზოგადოების ოკინავას ქარტია, რომლის დებულებებიც საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ეკონომიკური და სოციალური ტრანსფორმაციის სტიმულირების საკითხებს ეთმობა.

როგორც თანამედროვეობის საინფორმაციო ტექნოლოგიების უმსხვილესი კომპანიის Cisco Systems Inc.-ის პრეზიდენტი ჯონ ჩემბერსი აღნიშნავს, სოციალური კავშირების ასეთი რევოლუცია „თავისი შედეგების მასშტაბით, სავარაუდოდ, გადააჭარბებს სამრეწველო რევოლუციას, ის ათანაბრებს პირობებს და ქმნის უპრეცედენტო შესაძლებლობებს ქვეყნების, კომპანიებისა და კერძო პირთათვის მთელ მსოფლიოში. მისი რეზულტატია ისეთი ეკონომიკა, რომელშიც წარმატებისა და გადარჩენის ძირითადი ფაქტორი უკვე არა სიდიდე, გეოგრაფიული მდებარეობა ან მატერიალური რესურსებია, არამედ რეაქციის სისწრაფე და ცვალებადობის უნარი“.⁴

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებამ განაპირობა საქმიან ურთიერთობებსა და ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი ეკონომიკური და სამართლებრივი მოვლენების წარმოშობა, როგორებიცაა: „ეკონომიკა რეალურ დროში“ (*the online economy*), „ელექტრონული ვაჭრობა“ (*electronic commerce*). თანამედროვე საინფორმაციო საზოგადოებაში ელექტრონული ვაჭრობა – ესაა ტექნოლოგიური, ეკონომიკური, საფინანსო და იურიდიული ურთიერთობების ერთობლიობა.⁵ „ელექტრონული ვაჭრობა“, იურიდიული მნიშვნელობით, არის ელექტრონული ფორმით სხვადასხვა გარიგების დადება, პირველ ყოვლისა,

*თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

¹ Towards Digital Equality, The US Government Working Group on Electronic Commerce, 2nd Annual Report, 1999, <http://www.ecommerce.gov>.

² Информационные технологии и современная корпорация, <http://www.russianlaw.net/law/doc/a176.doc>.

³ Окинавская Хартия Глобального Информационного Общества, <http://www.iis.ru/events/okinawa/charter.ru.html>.

⁴ Patel/McCarthy, Digital Transformation, The Essentials of E-business Leadership, N.Y. (McGraw-Hill), 2000, 6.

⁵ Соловяненко, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), Хозяйство и право, 2003, No.1, 27.

სამენარმეო სფეროში, როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე.⁶ ამდენად, ელექტრონული კომერცია არის საქმიანობა საქონლის რეალიზაციის, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების განწესისა ღია კომპიუტერული ქსელების გამოყენებით.⁷ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ელექტრონული ვაჭრობა, როგორც განყენებული ცნება, არ არსებობს. ელექტრონული ვაჭრობის დროს დადებულ გარიგებებს არა აქვთ არავითარი სხვა თავისებურება, გარდა იმისა, რომ ისინი დადებულია კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.⁸ უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ჩარჩო ძალიან ფართოა. UNCITRAL-ის განსაზღვრების თანახმად, ელექტრონული ვაჭრობის საშუალებით შეიძლება დაიდოს შემდეგი გარიგებები (ჩამონათვალი არ არის ამომწურავი): ნასყიდობა, მიწოდება, შეთანხმება პროდუქციის განაწილების შესახებ, სავაჭრო წარმომადგენლობა, სააგენტო ხელშეკრულება, ფაქტორინგი, ლიზინგი, კონსალტინგი, საინვესტიციო კონტრაქტები, დაზღვევა, კონცესიური შეთანხმება, საბანკო ხელშეკრულებები... და ა. შ.⁹ ამდენად, ელექტრონული კომერცია არის კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საქონლისა და მომსახურების გაცვლის ეკონომიკურ-სამართლებრივი პროცესი.¹⁰

არსებობს საკითხები, რომელთა დარეგულირებაც არ შეიძლება ავტონომიურად, მხოლოდ ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობით. აღნიშნულის თქმა შეიძლება ელექტრონულ ვაჭრობაზეც. ელექტრონული კომერციის განვითარების პირველ ეტაპზე არჩევანი უნდა გაკეთებულიყო ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობის ნაციონალურ ტრადიციებსა და სამართლებრივი ნორმების უნიფიკაციას შორის. იყო ცდები აღნიშნული დილემის გადაჭრისა ღია კომპიუტერული ქსელის კიბერსივრცედ, ინტერნაციონალურ სივრცედ აღიარებისა ანტარქტიკის, კოსმოსისა და ღია ზღვის გვერდით¹¹, მაგრამ საბოლოოდ გაიმარჯვა ტენდენციამ, რომ აუცილებელი იყო ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერის მარეგულირებელი ნორმების უნიფიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. ამ მხრივ უდიდესი სამუშაო ჩაატარა საერთაშორისო სავაჭრო სამართლის გაეროს კომისიამ (UNCITRAL).

ელექტრონული ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით UNCITRAL-მა შემუშავა მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (Model Law on Electronic Commerce 1996-1998)¹². ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე UNCITRAL-ის ჯგუფი იხილავს ამ რთული ურთიერთობების ყველა სამართლებრივ ასპექტს. მისი 31-ე-38-ე სესიები მიეძღვნა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“¹³ მოდელური კანონის პროექტის შემუშავებას, ხოლო UNCITRAL-ის მე-40 სესიაზე (2002 წლის ოქტომბერი) წარმოდგენილ იქნა კონვენციის პროექტი „ხელშეკრულების ელექტრონული ფორმით დადების შესახებ“.¹⁴

⁶ იხ.: იქვე.

⁷ Интернационализация правового регулирования вопросов применения электронных подписей, <http://www.russianlaw.net/law/doc/a119>.

⁸ Орлов, Ананьев, Во Всемирной Торговой Организации нет согласия по электронной торговле, Ebusiness, 2001, No.1, 23.

⁹ Доклад Комиссии ООН по праву международной торговли о работе её тридцать четвёртой сессии 25 июня – 13 июля 2001 года, Генеральная Ассамблея, Официальные отчёты, 56-я сессия, Дополнение 7 (A/56/17), ООН, 2001, 56.

¹⁰ *Operkent*, Global Economy & Electronic Commerce, London (Business School Press), 1999, 14; Глобальный бизнес и информационные технологии, Современная практика и рекомендации, Москва, 2001, 55.

¹¹ *Menthe*, Jurisdiction in Cyberspace: A Theory of International Spaces, Mich.Tel.Tech.L.Rev.3, April 23, 1998; Интернационализация правового регулирования вопросов применения электронных подписей, <http://www.russianlaw.net/law/doc/a119.htm>.

¹² UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment (1996), with additional article 5 bis as adopted in 1998.

¹³ UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment, United Nations, New York, 2002.

¹⁴ Report of the United Nations Commission on International Trade Law, 40th session, 14-18 October 2002, Vienna ACN.9/WG.IV/WP. 97- Provisional Agenda.

მეტად მნიშვნელოვანია ევროპული კავშირის ქვეყნებში ელექტრონული ვაჭრობის უნიფიკაციის საკითხიც. მიღებულ იქნა დირექტივები „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“, ¹⁵ ასევე დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“. ¹⁶ მოდელური კანონებისა და მითითებული დირექტივების ძირითადი დებულებების საფუძველზე მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ მიიღო ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები. ¹⁷

საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკასთან ინტეგრაციის პროცესში სულ უფრო იზრდება უცხოურ კომპანიებთან სავაჭრო და საინვესტიციო თანამშრომლობის ინტერესი. ნებისმიერი თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური ცხოვრების შემადგენელი ნაწილია საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. სწორედ ამიტომ თითოეული სახელმწიფო მისწრაფვის, შეუქმნას მენარმეებს სათანადო პირობები საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში, უპირველეს ყოვლისა კი, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობისათვის. ამ მიზნის მიღწევის ერთ-ერთი ეფექტური გზაა საერთაშორისო ეკონომიკურ ბრუნვაში უნიფიცირებული სამართლებრივი რეჟიმის დანერგვის ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობის მიღება. საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, შესაბამისი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავებისათვის, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას გლობალურ სავაჭრო ურთიერთობებში, ასევე შიდასახელმწიფოებრივი სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, აუცილებელია ელექტრონული ვაჭრობის და ელექტრონული ხელმოწერის საკითხების სამართლებრივი ასპექტების ანალიზი.

წინამდებარე წერილის მიზანია ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერის სამართლებრივი რეგულირების საფუძვლების კვლევა და ამ ურთიერთობების საქართველოში წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელი წინაპირობების განსაზღვრა. წერილში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა: ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული გარიგებების ფორმა; ხელშეკრულებების დადება ელექტრონული ფოსტისა და ვებ-გვერდის საშუალებით; შეთანხმება მონაცემთა ელექტრონული გაცვლის შესახებ; ელექტრო-

¹⁵ Directive 2000/31/EC of the European Parliament and the Council of Europe of 8 June 2000 on certain legal aspects of information society services, in particular electronic commerce in the Internal Market (Directive on electronic commerce), Official Journal of the European Communities 17/7/2000.

¹⁶ Directive 1999/93/EC of the European Parliament and the Council of Europe of 13 December 1999 on Community framework for electronic signatures, Official Journal L 013, 19/01/2000, 0012-0020; <http://rechten.kub.nl/simone/Eu-sig.htm>.

¹⁷ ავსტრალიის კანონი ელექტრონული გარიგებების შესახებ, მიღებულ იქნა 1999 წელს, მთლიანად ძალაში შევიდა 2001 წლის პირველ ივლისს; აშშ-ის 2000 წლის ფედერალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სავაჭრო ურთიერთობებში; გერმანიის კანონი ელექტრონული ხელმოწერის შესახებ, ძალაში შევიდა 2001 წლის მაისში; ირლანდიის 2000 წლის კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ; ბელორუსიის 2000 წლის კანონი ელექტრონული დოკუმენტის შესახებ; სამხრეთ კორეის 2001 წლის კანონი ელექტრონული ვაჭრობის შესახებ; ტაილანდის 2002 წლის კანონი ელექტრონული გარიგებებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ; 2002 წელს ელექტრონული გარიგებების შესახებ საკანონმდებლო აქტები მიღებული იქნა თურქეთსა და პაკისტანში; მექსიკაში 2000 წელს ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული გარიგებების შესახებ ცვლილებები და დამატებები შევიდა ფედერალურ სამოქალაქო, ფედერალურ სავაჭრო და ფედერალურ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში; და ა. შ.

მართალია, საქართველოში დღეს არ არის მიღებული ელექტრონული ვაჭრობის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ 2000-2001 წლებში საქართველოს ინფორმატიზაციის სახელმწიფო დეპარტამენტს შემუშავებული ჰქონდა ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ კანონის პროექტი, რომელშიც გარკვეულწილად ასახული იყო ელექტრონული ვაჭრობის შესახებ UNCITRAL-ის მოდელური კანონის გარკვეული დებულებები, მაგრამ დაუზუსტებლად და არასრულყოფილად. კანონპროექტი საჭიროებდა საფუძვლიან გადაამუშავებას.

ნული ხელმოწერა; სერტიფიკაციის ორგანოების სამართლებრივი სტატუსი; ელექტრონული საბანკო საქმიანობა; ელექტრონული საქმიანობა საქართველოს საბანკო სისტემასა და დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) თავისებურებები; საქართველოში ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზის ფორმირების სამართლებრივი მიმართულებების განსაზღვრა.

1. ელექტრონული ვაჭრობისას იდება მრავალი გარიგება. მეტად მნიშვნელოვანია მათი ფორმის დაცვის საკითხის ანალიზი. ცივილისტიკაში აღიარებული მოსაზრების თანახმად, ხელშეკრულების ფორმის მიზანია მხარეების შეთანხმებული ნების განმტკიცება და სწორად ასახვა.¹⁸ ხელშეკრულება დადებულია ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი). როგორც წესი, ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება. ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. მათი დიდი ნაწილი იდება ზეპირი ფორმით, მაგრამ არ შეიძლება იმის არაღნიშვნა, რომ თანამედროვე პირობებში რეალურად წერილობითი ფორმა უდიდეს როლს ასრულებს.¹⁹ ამასთან, თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა, ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მოთხოვნის შესრულების შემდეგ (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის პირველი ნაწილი). სხვა შემთხვევებში მოქმედებს ფორმის თავისუფლების პრინციპი და ფორმის განსაზღვრა მხარეების მიერ მათი თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე ხდება.²⁰ ის ხელშეკრულებები, რომელთა ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმის დაცვა, კანონით ამომწურავადაა განსაზღვრული. როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ბაზარზე ელექტრონული ბიზნესის წარმოებისას აუცილებელია განისაზღვროს: თუ გარიგების ნამდვილობისათვის აუცილებელია წერილობითი ფორმა, ეს მოთხოვნა ითვლება თუ არა შესრულებულად (დაცულად), როცა გარიგება იდება ელექტრონული საშუალებების გამოყენებით. ამ საკითხის გასარკვევად აუცილებელია გამოიყოს ის მიზნები, რომელთა მიღწევასაც ემსახურება წერილობითი ფორმა²¹ და მათი დაცვის გარანტიები გარიგების ელექტრონული საშუალებებით დადებისას.

სწორად აღნიშნავენ ხოლმე, ტრადიციული ქალაქის დოკუმენტებისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნები წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის თანამედროვე საშუალებების განვითარების ძირითად დაბრკოლებას, მაგრამ აღნიშნულის დაძლევა შესაძლებელია მოქნილი ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომით, რომელიც ეფუძნება ქალაქის დოკუმენტების შედგენისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნების მიზნებისა და ფუნქციების ანალიზს, რათა დადგინდეს, ეს მიზნები და ფუნქციები როგორ უნდა იქნეს მიღწეული ან შესრულებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩარჩოებში.²² იურიდიულ ლიტერატურაში სამართლიანადაა აღიარებული, რომ ხელშეკრულების წერილობითი ფორმა კონკრეტულ მიზნებს ემსახურება, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია: მტკიცების, გაფრთხილების, გამიჯვნის და საინფორმაციო

¹⁸ Гражданское право, Учебник, Часть 1, Под. ред. Сергеева/Толстого, Москва (Прспект), 1998, 504.
¹⁹ დანვრილებით იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, სამართალი, 2001, 109.
²⁰ იხ. იქვე, 102-118.
²¹ Gesetz über die Rahmenbedingungen für elektronische Signaturen (*Kreutz, Marcus*), <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/999071216.php> - 29.08.2000.
²² Электронный документ и его юридическая сила. <http://www.internetpolicy.kg/modules.php?op=modload&name=News&file=article&sid=29>.

მიზანი.²³ საკანონმდებლო მოთხოვნების დაცვით ქალაქზე შედგენილი დოკუმენტი უზრუნველყოფს ამ მოთხოვნების დაცვას. რაც შეეხება ელექტრონულ გარიგებას, მისი ფორმის დაცვის საკითხს უზრუნველყოფს ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომა, რომლის რეალიზაცია კანონმდებლისაგან მოითხოვს შემდეგი ამოცანების გადაჭრას: ელექტრონული დოკუმენტის ეკვივალენტურობის კრიტერიუმების დადგენა; ტერმინ „ელექტრონული დოკუმენტი“ შინაარსისა და ელექტრონული დოკუმენტის გამოყენების სფეროების აღწერა; ელექტრონული დოკუმენტის იურიდიული ძალის აღიარება (მინიჭება); ელექტრონული დოკუმენტისათვის მტკიცებულების ძალის მინიჭება.²⁴ აშშ-ის 2000 წლის ფედერალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სავაჭრო ურთიერთობებში ტერმინ „ელექტრონულ დოკუმენტს“ განმარტავს როგორც კონტრაქტს ან სხვა დოკუმენტს, რომელიც შექმნილი, ნაწარმოები, გაგზავნილი, შეტყობინებული, მიღებული ან შენახულია ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.²⁵ ამდენად, ელექტრონულია დოკუმენტი, რომელშიც ინფორმაცია წარმოდგენილია ელექტრონულ-ციფრული ფორმით.²⁶

UNCITRAL-ის მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ მთლიანად ეფუძნება ე.წ. ფუნქციურ ეკვივალენტს. ეს ნიშნავს, რომ, თუ, ნაციონალური კანონმდებლობის თანახმად, გარიგების დადების და შესრულების პროცესში ქმედებები უნდა აისახოს წერილობითი ფორმით ან წერილობითი დოკუმენტის გამოყენებით, ეს მოთხოვნა ითვლება შესრულებულად მაშინ, როცა მითითებული ქმედებები ხორციელდება ერთი ან რამდენიმე ელექტრონული შეტყობინების საშუალებით, კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. ცხადია, ელექტრონული გზით გარიგების დადებაზე გადაწყვეტილებას მხარეები თავად იღებენ. სწორედ ამიტომ, მოდელური კანონით დადგინდა ელექტრონული ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი პრინციპი: მხარეებს, რომლებმაც დადეს გარიგება, უფლება არა აქვთ, ეჭვის ქვეშ დააყენონ მისი ნამდვილობა და სავალდებულობა მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ ის დადებული და ხელმოწერილია ელექტრონული საშუალებით.²⁷ ინფორმაციას არ შეიძლება წაერთვას იურიდიული ძალა მხოლოდ იმიტომ, რომ მას მონაცემთა ელექტრონული შეტყობინების ფორმა აქვს. აღნიშნულს პირობითად ტექნოლოგიური არადისკრიმინაციის პრინციპსაც უწოდებენ, რისი მიზანიც მონაცემთა ელექტრონული შეტყობინებისა და ქალაქის დოკუმენტების მიმართ თანასწორი რეჟიმის უზრუნველყოფაა.²⁸

აქვე უნდა განვიხილოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 328-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, თუ მხარეები შეთანხმდნენ წერილობით ფორმაზე, ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ერთი დოკუმენტის შედგენით; ფორმის უზრუნველსაყოფად ასევე საკმარისია სატელეგრაფო შეტყობინება, ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა. როგორც ვხედავთ, კანონმდებელი მიმართავს ისეთ ზოგად ფორმულირებას, როგორცაა „წერილების ურთიერთგაცვლა“, რაც შეიძლება განხორციელდეს როგორც ჩვეულებრივი, ისე ელექტრონული ფოსტის გამოყენებით. ამდენად, თუ მხარეები წინასწარ შეთანხმდებიან, რომ წერილობითი ფორმის ხელშეკრულება დადონ ელექტრონული გზით, მაშინ მათ

²³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, 110.

²⁴ Электронный документ и его юридическая сила, <http://www.internetpolicy.kg/modules.php?op=modload&name=News&file=article&sid=29>.

²⁵ Закон об электронных подписях международных и внутригосударственных торговых отношениях. Принят сто шестым Конгрессом США 24 января 2000 года (вступил в силу 01.10.2000, за исклю норм, указанных в ст. 107), <http://www.russianlaw.net/law/doc/a127.htm>.

²⁶ Федеральный закон РФ “Об электронной цифровой подписи”, 2002, статья 3.

²⁷ Соловяненко, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), 30.

²⁸ Электронный документ и его юридическая сила, <http://www.internetpolicy.kg/modules.php?op=modload&name=News&file=article&sid=29>.

მიერ შედგენილი ელექტრონული დოკუმენტები იურიდიული ბუნებით გაუთანაბრდება ქალაქში შედგენილ მატერიალურ დოკუმენტებს, ანუ ხელშეკრულება დაიდება წერილობითი ფორმის დაცვით. ამასთან, აუცილებელია ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საკანონმდებლო წესით განმტკიცება.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება სრულად პასუხობს გარიგების მარტივი წერილობითი ფორმისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. კერძოდ: ელექტრონული ვაჭრობისას გარიგება იდება დოკუმენტების ელექტრონული საშუალებით გაცვლის შედეგად, რაც იძლევა იმის დანამდვილებით დადგენის საშუალებას, რომ გამოვლენილი ნება ხელშეკრულების მხარისაგან მომდინარეობს; ასეთი დოკუმენტები არსებობს ელექტრონული ჩანაწერის სახით; ელექტრონულ დოკუმენტს ხელს აწერს ხელშეკრულების მხარე ან მის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი; ელექტრონული ვაჭრობისას გარიგების ხელმოსაწერად გამოიყენება ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა ან პირადი ხელმოწერის სხვა ანალოგი.²⁹

თუ ხელშეკრულების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებისას მარტივი წერილობითი ფორმის დაცვის საკითხი ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომის საფუძველზე გადაჭრილია, იურიდიულ ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული, შეიძლება თუ არა, მონაცემთა ელექტრონული გაცვლის გზით დაიდოს ის ხელშეკრულებები, რომელთა ნამდვილობისთვის საჭიროა სანოტარო (კვალიფიციური) წერილობითი ფორმის დაცვა. ერთის თქმა შეიძლება, რომ ამ საკითხისადმი უარყოფითი დამოკიდებულება დღევანდელ დღეს იურიდიულ ლიტერატურაში რჩება გაბატონებულ მოსაზრებად.³⁰ ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ საკითხისადმი განსხვავებული მიდგომა, კერძოდ, აშშ-ის ფედერალური კანონი ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივ სავაჭრო ურთიერთობებში (101-ე მუხლი),³¹ რომლის თანახმადაც, თუ ხელმოწერის ან სხვა ჩანაწერის ნამდვილობისათვის აუცილებელია დადასტურება ან დამოწმება ნოტარიუსის მიერ, ამ მოთხოვნის განხორციელება შესაძლებელია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ხელმოწერით.

2. იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ ინტერნეტის საშუალებით ხელშეკრულების დადების ორ ხერხს, რომლებიც არსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან: პირველი ხერხი გულისხმობს ხელშეკრულების დადებას ელექტრონული ფოსტის საშუალებით (e-mail), კერძოდ, მისი მეშვეობით ოფერტისა და აქცეპტის გაგზავნა-მიღებას. ელექტრონული ფოსტა შეიძლება განვიხილოთ როგორც ჩვეულებრივი ფოსტის ციფრული ანალოგი, როცა გადაცემის დროს ინფორმაცია არ ინარჩუნებს თავის სახეს, ანუ ასოთა, ციფრების და სხვა სიმბოლოთა ერთობლიობას და ხდება მისი ტრანსფორმაცია მონაცემთა (ციფრთა) ერთობლიობად, შემდგომში კი ხდება მისი გაშიფვრა,³² რის შემდეგაც იგი იღებს ალსაქმელ ფორმას. ყოველივე აღნიშნული ხდება დროის მეტად მცირე მონაკვეთში. ამდენად, უდავოა, რომ ელექტრონული ფოსტა ჩვეულებრივ ფოსტაზე გაცილებით სწრაფია; მეორე ხერხი გახლავთ ხელშეკრულების დადება ვებ-გვერდის (საიტის) გამოყენებით, როცა ესა თუ ის პირი საქონლის ან მომსახურების შეთავაზებას ახორციელებს მათზე ინფორმაციის განთავსებით გრაფიკული, ტექსტური ან ხმოვანი

²⁹ Электронная форма сделки в международной торговле. <http://www.russianlaw.net/law/doc/a124.htm>.

³⁰ Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4.

³¹ Закон об электронных подписях международных и внутрисударственных торговых отношениях. Принят сто шестым Конгрессом США 24 января 2000 года (вступил в силу 01.10.2000, за исклю норм, указанных в ст. 107). <http://www.russianlaw.net/law/doc/a127.htm>.

³² Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4.

ფორმატით ინტერნეტ-გვერდზე. სხვა პირი, რომელსაც სურს ამ შემოთავაზების მიღება, ავსებს ამავე საიტზე განთავსებულ გარკვეულ ფორმას (ფორმულარს), სადაც უთითებს ინფორმაციას თავის თავზე, თუ ეს აუცილებელია და შესაძლებელია, განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნულის შემდეგ კლიენტი აჭერს თანხმობის ლილაკს (როგორც წესი, ფორმულარის ბოლოში განთავსებულ ლილაკს) და კლიენტის ინფორმაცია მიეწოდება სერვერს.³³ ეს ხერხი მეტად გავრცელებულია სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციის ურთიერთობებში.

მეტად საინტერესოა და იურიდიულ ლიტერატურაში დისკუსიის საგანია საკითხი, თუ როდის ითვლება დადებულად ელექტრონული ფოსტის გამოყენებით დადებული ხელშეკრულება. სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ამიტომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ როდის ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად.³⁴ როგორც ცნობილია, ხელშეკრულება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა ოფერტი მიღებული იქნება აქცეპტანტის მიერ. ეს დებულება გავრცელებულია კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში. რაც შეეხება ანგლოამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებს, იქ ცნობილია ე.წ. „საფოსტო ყუთის“ თეორია, რომლის თანახმადაც, თუ ოფერტი და აქცეპტი გაგზავნილი და მიღებული უნდა იქნეს ფოსტის მეშვეობით, ხელშეკრულება დადებულად ითვლება აქცეპტის გაგზავნის მომენტში.³⁵ ამ ორი სამართლებრივი სისტემის ქვეყანას შორის ასეთი განსხვავება ჩეულებრივი საფოსტო მომსახურების პირობებში პრაქტიკაში ხშირად ბადებდა პრობლემებს. ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრამ სულ სხვა დატვირთვა შეიძინა ელექტრონული შეტყობინებების ელექტრონული ფოსტით გაგზავნისა და მიღების დროს, რადგან მონაცემთა გაცვლა უმოკლეს ვადაში გახდა შესაძლებელი. ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრის საკითხის კვლევაში სულ სხვა მიმართულება მიიღო. მეტად გართულდა იმის დადგენა, თუ როდის უნდა ჩაითვალოს შეტყობინება გაგზავნილად თუ მიღებულად. პასუხს ამ კითხვაზე იძლევა UNCITRAL-ის მოდელური კანონი „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ (მე-15 მუხლი), რომლის თანახმადაც, თუ შემდგენელი და ადრესატი არ შეთანხმებულან სხვა რამეზე, მონაცემთა შეტყობინების შესრულება ხდება იმ მომენტში, როცა იგი ხვდება შემდგენელის ან მისი სახელით მონაცემთა გამგზავნის კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ელექტრონული შეტყობინება ითვლება გაგზავნილად და გაგზავნის დროდ ფიქსირდება მომენტი, როდესაც ჩანაწერი შედის საინფორმაციო სისტემაში, რომელსაც არ აკონტროლებს შეტყობინების ავტორი, ან პირი, რომელმაც გააგზავნა ელექტრონული შეტყობინება ავტორის სახელით.

აქ შემდგენლის (ავტორის) კონტროლის მიღმა საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელიც იღებს შეტყობინებას საფოსტო სერვერიდან, რომელზეც იმყოფება შემდგენლის (შეტყობინების ავტორის) საფოსტო ყუთი,³⁶ ანუ იმ მომენტიდან, როცა საფოსტო პროგრამამ შეტყობინების მინოდების შემდეგ მოსარგებლეს შეატყობინა, რომ შეტყობინება გაგზავნილია. ელექტრონული ჩანაწერის მიღების დროს მოდელური კანონი ასევე დისპოზიციური ნორმის სახით ადგენს, რომელიც მხარეებს ქცევის წესის თავად განსაზღვრის საშუალებას აძლევს.³⁷ ამასთან, თუ შემდგენელი და მიმღები არ შეთანხმებულან სხვა რამეზე,

³³ იხ. იქვე.

³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, 89.

³⁵ Богуславски, Международное частное право, Москва, 1998, 201.

³⁶ Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4.

³⁷ Международно-правовые аспекты регулирования электронной коммерции и электронного обмена данными, http://msal.h1.ru/docum/elek_komm_obmen.html.

ელექტრონული ჩანაწერის მიღების დრო განისაზღვრება შემდეგი წესით: თუ ადრესატმა მიუთითა მონაცემთა შეტყობინების მიღების მიზნით საინფორმაციო სისტემა, მიღება ხდება იმ მომენტში, როცა მონაცემთა შეტყობინება შედის მითითებულ საინფორმაციო სისტემაში; თუ მონაცემთა შეტყობინება (ელექტრონული ჩანაწერი) იგზავნება ადრესატის საინფორმაციო სისტემაში, რომელიც არ არის წინასწარ განსაზღვრული საინფორმაციო სისტემა, – იმ მომენტში, როცა ადრესატი მონაცემთა შეტყობინებას ამოიღებს სისტემიდან;³⁸ თუ ადრესატს არ განუსაზღვრავს კონკრეტული საინფორმაციო სისტემა, მაშინ მიღების დროდ ითვლება დრო, როდესაც ელექტრონული ჩანაწერი შედის ადრესატის რომელიმე საინფორმაციო სისტემაში. საინფორმაციო სისტემაში იგულისხმება სერვერი, რომელზეც იმყოფება მიმღების (ადრესატის) საფოსტო ყუთი, ისეთი, როგორიცაა, მაგალითად, yahoo, mail.ru, yandex და ა. შ.³⁹

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია შემთხვევები, როცა ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი და მიმღები თანხმდებიან, რომ ელექტრონული შეტყობინების მიღება დაადასტუროს ადრესატმა. დადასტურების ფორმას, ჩვეულებრივ, ასევე განსაზღვრავენ მხარეები. როდესაც ელექტრონული შეტყობინების გამგზავნი განაცხადებს, რომ შეტყობინებას აქვს წინასწარი ხასიათი და დამოკიდებულია დადასტურებაზე, შეტყობინება არ ითვლება მიღებულად დადასტურების მიღებამდე.

რაც შეეხება ვებ-გვერდის გამოყენებით ხელშეკრულების დადებას, აღსანიშნავია, რომ პირველ რიგში უნდა განისაზღვროს მასზე განთავსებული ინფორმაციის იურიდიული ბუნება. ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველასათვის და მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. ხშირად ინტერნეტ-წინადადება შეიცავს ხელშეკრულების არა ყველა არსებით პირობას. ასეთ დროს კლიენტი ავსებს ამავე საიტზე განთავსებულ გარკვეულ ფორმას (ფორმულარს), სადაც უთითებს ხელშეკრულების პირობებს, რის შემდეგაც აჭერს თანხმობის ლილაკს. აღიარებული მოსაზრების თანახმად, ვებ-გვერდზე განთავსებული შეთავაზება არის მონვევა ოფერტზე, თავად ოფერტი კი შევსებული ფორმულარია.⁴⁰ ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში აქცეპტი იქნება თანხმობა საიტის საშუალებით მონვევის გამავრცელებელი პირის მხრიდან, რაც ძალიან სწრაფად ხდება.⁴¹ აზრთა სხვადასხვაობას ინვესის გარემოება, რომ არსებობს ვებ-გვერდები, რომლებზეც ხელშეკრულების არსებითი პირობები მოცემულია ამომწურავად და ხელშეკრულების დასადასტურად აბსოლუტურად საკმარისია აქცეპტი ვებ-გვერდზე თანხმობის ლილაკის დაჭერის სახით,⁴² ანუ საიტზე ინფორმაციის გამავრცელებლის მხრიდან აღარაა ასეთ დროს საჭირო თანხმობა. თუმცა კი უნდა აღინიშნოს, რომ კავშირი კლიენტსა და სერვერს შორის წამიერია, რაც ძალიან ემსგავსება პირობითად სატელეფონო კავშირს, რადგან კავშირის განწყვეტის შემთხვევაში მეორე მხარემ ყოველთვის იცის ამის შესახებ. ამ ტექნიკური თავისებურებების სამართლებრივი დანიშნულება ისაა, რომ აქცეპტის გამგზავნის შეუძლია განსაზღვროს, მიღებულია თუ არა იგი მაშინვე.⁴³ გარიგებების დადება ვებ-გვერდების მეშვეობით დროის მეტად მცირე მონაკვეთში ხდება,

³⁸ იხ. იქვე.

³⁹ იხ. იქვე.

⁴⁰ დაწვრილებით იხ.: Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4.

⁴¹ Grundlegende rechtliche Instrumente im E-Commerce. <http://www.ecc-handel.de/erkenntnisse/1014893004/> - 28.02.2002.

⁴² Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4.

⁴³ იხ. იქვე.

რამაც სამომხმარებლო ურთიერთობებში ეს ოპერაცია მეტად პოპულარულად აქცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპული კავშირის ქვეყნებში აღნიშნული საკითხების ერთგვაროვანი რეგლამენტაციის მიზნით, 2000 წლის დირექტივით, ხელშეკრულების დადების მომენტის განსაზღვრისას კონცეპტუალური მნიშვნელობა მიენიჭა თანხმობის მიღების დადასტურებას.⁴⁴

3. ელექტრონული ვაჭრობისას გარიგებათა დადებისა და შესრულების პროცესში წარმოშობილი სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტას მხარეები, როგორც წესი, ახერხებენ „მონაცემთა ელექტრონული გაცვლის“, „ელექტრონული დოკუმენტების გამოყენების შესახებ“ სპეციალური შეთანხმების საშუალებით. ასეთი შეთანხმებები ძირითადად გამოიყენება სამენარმოეო ურთიერთობებში და ითვალისწინებს კომერციულ პარტნიორებს შორის ურთიერთობის რეგლამენტაციას. შეთანხმების პირობები არის ძირითადი ხელშეკრულების (მაგ., ნასყიდობის ხელშეკრულება) დამატება. ამასთან, ისინი არ ითვალისწინებენ თავად სახელშეკრულებო ვალდებულებათა რეგლამენტაციას, რომელთა განხორციელების დროსაც მოხდება ელექტრონულ საშუალებათა გამოყენება, რადგან ამ ვალდებულებებზე ვრცელდება სამოქალაქო ან სავაჭრო სამართლის ნორმები. შეთანხმებაში უნდა განისაზღვროს:

- ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის წესი;
- მხარეთა მიერ დამტკიცებული ტექნიკური და პროცედურული მოთხოვნები;
- შეტყობინების მიღების დადასტურების წესი;
- შეტყობინების კონტროლისა და დაცვის ზომები, ასევე ღონისძიებები ელექტრონული შეტყობინების არასანქცირებული გამოყენების წინააღმდეგ;
- შეტყობინებათა რეგისტრაცია, ჩანერა, შენახვა;
- ელექტრონული შეტყობინების იურიდიული ძალა და მისი დაშვება მტკიცებულების სახით და ა.შ.

რადგან კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით გაფორმებული ელექტრონული გარიგება უთანაბრდება წერილობითი ფორმით დადებულ გარიგებას, ბუნებრივია, მასაც აქვს ის მიზანი და დატვირთვა, რაც საერთოდ წერილობითი ფორმის გარიგებას. მონაცემთა ელექტრონული გაცვლის შესახებ შეთანხმება ემსახურება შემდეგ მიზნებს: ა) სავაჭრო გარიგებების ელექტრონული გზით დადების სამართლებრივი მექანიზმის გამარტივებას, ახსნას და მოდერნიზებას; ბ) ელექტრონული საშუალებებით დადებული გარიგებებისათვის იურიდიული ძალის მინიჭებას, მათი სასამართლო დაცვის უზრუნველყოფას; გ) მხარეთა შეთანხმების საფუძველზე სავაჭრო პრაქტიკის შემდგომი გაფართოების ხელშეწყობას.⁴⁵

4. ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი რეგლამენტაციისას მეტად მნიშვნელოვანია გარიგების ხელმოწერის საკითხი. გარიგებების ელექტრონული გზით ხელმოწერისას აუცილებელია, რომ ხელმოწერა ასრულებდეს შემდეგ იურიდიულ ფუნქციებს: მიუთითებდეს, თუ ვინ მოაწერა ხელი ელექტრონულ დოკუმენტს; იძლეოდეს გარანტიას, რომ ელექტრონული დოკუმენტი ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ; უზრუნველყოფდეს ხელმოწერილი

⁴⁴ Некоторые вопросы заключения договоров через интернет: сравнение правовой ситуации в РФ и Великобритании, http://nadya.program.ru/science/sasharef/internet.html#_ftnref4 Директива ЕС "О некоторых правовых аспектах услуг информационного общества, в частности электронной коммерции, на внутреннем рынке" No 2000/31/ЕС от 8 июня 2000. Проект одобрен 28.02.2000 Европейским Советом, а 04.05.2000 Европейским Парламентом. Полный текст доступен на официальном сайте ЕС по адресу: http://europa.eu.int/smartap/cgi/sga_doc31.

⁴⁵ Соловяненко, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), Хозяйство и право, 2003, No.1, 28.

დოკუმენტის ნამდვილობას; ნიშნავდეს გარიგების მხარეთა ნების გამოვლენას; ახდენდეს ელექტრონული გზით დადებული გარიგების წერილობითი ფორმის გარიგებად სიმბოლიზებას.⁴⁶

ევროკავშირის ქვეყნებში ელექტრონული ხელმოწერის საკითხების ერთგვაროვან რეგლამენტაციას უზრუნველყოფს დირექტივა „ელექტრონული ხელმოწერის შესახებ“,⁴⁷ ხოლო UNCITRAL-ის ელექტრონული ვაჭრობის სამუშაო ჯგუფის 31-ე-38-ე სესიები მიეძღვნა მოდელური კანონის შექმნას „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“.⁴⁸ 1999 წლის დირექტივამ დაადგინა ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის გაცემაზე მომსახურების განვითარების „ჩარჩო“ რეგულირება, რათა ევროკავშირის მონაწილე სახელმწიფოებს ამ დირექტივის შესაბამისად მიეღოთ კანონები და კანონქვემდებარე აქტები. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ ელექტრონული ხელმოწერები, რომლებიც შექმნილია ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საიმედო საშუალებების გამოყენებით და აქვს შესაბამისი სერტიფიკატი: ა) აკმაყოფილებდეს ელექტრონული ფორმის მონაცემთა მიმართ ხელმოწერის იურიდიულ მოთხოვნებს ისევე, როგორც პირადად სუბიექტის მიერ ქალაქში ასახულ ინფორმაციაზე განხორციელებული ხელმოწერა; ბ) ელექტრონული საშუალებით ხელმოწერილი დოკუმენტი დაიშვებოდეს როგორც სასამართლო მტკიცებულება.

აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ელექტრონული ხელმოწერების მარეგულირებელი კანონმდებლობისადმი ისეთი საყოველთაოდ აღიარებული მიდგომა, როგორიცაა ე.წ. „ტექნოლოგიური ნეიტრალურობა“. პირადი ხელმოწერის ნებისმიერი ელექტრონული ანალოგის სამართლებრივი აღიარება და მათი იურიდიული ძალა არ იზღუდება გამოყენებული ტექნოლოგიის მიხედვით. ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ უნდა პასუხობდეს გამოყენებული სამართლის მოთხოვნებს.⁴⁹ სწორედ ამ მიზეზით ელექტრონული ვაჭრობის საკითხებზე მომუშავე UNCITRAL-ის სამუშაო ჯგუფმა უარი თქვა „კრიპტოგრაფიული გასაღების“ ცნების შემოტანაზე „ელექტრონული ხელმოწერების შესახებ“ მოდელური კანონის პროექტში, რადგან იგი არ პასუხობდა ნეიტრალურობის პრინციპს, რომელიც პროექტის საფუძველი იყო.⁵⁰

იმისათვის, რომ ელექტრონული საშუალებების გამოყენებით დადებული ხელშეკრულება გაუთანაბრდეს წერილობითი ფორმის ხელშეკრულებას, აუცილებელია მისი ხელმოწერა. ნათელია, ელექტრონული დოკუმენტის თავისებურებებიდან გამომდინარე, შეუძლებელია მისი ხელმოწერა ჩვეულებრივი მნიშვნელობით, იგი ასევე ელექტრონული საშუალებებით უნდა მოხდეს. ელექტრონული ხელმოწერა მხოლოდ ციფრული ხელმოწერა არ არის, ეს უფრო ფართო ცნებაა. ელექტრონული ხელმოწერის მრავალი განმარტება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანის საერთო ამოსავალი წერტილია გარკვეული ინფორმაცია, რომელიც ელექტრონული დოკუმენტის ნაწილია, ან მასთან ლოგიკურადაა დაკავშირებული და აუცილებელია მისი ავთენტიფიკაციისათვის.⁵¹ ელექტრონული ხელმოწერა შეიძლება იყოს მარტივი (*einfache elektronische Signatur*)⁵², რომ-

⁴⁶ იხ. იქვე, 35.

⁴⁷ Directive 1999/93/EE of the European Parliament and of the Council of 13 December 1999 on Community framework for electronic signatures, Official Journal L 013,19/01/2000, 0012-0020; <http://rechten.kub.nl/simone/Eu-sig.htm>.

⁴⁸ UNCITRAL Model Law on Electronic Signatures with Guide to Enactment, United Nations, New York, 2002.

⁴⁹ Соловяненко, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), Хозяйство и право, 2003, No. 2, 43.

⁵⁰ Доклад Комиссии ООН по праву международной торговли о работе её тридцать четвёртой сессии 25 июня – 13 июля 2001 года. Генеральная Ассамблея, Официальные отчеты, 56-я сессия, Дополнение №17 (A/56/17), ООН, 2001.С.56.

⁵¹ Интернационализация правового регулирования вопросов применения электронных подписей <http://www.russianlaw.net/law/doc/a119.htm>

⁵² Die elektronische Signatur auf Siegeskurs (*Blakowski, Geroald*) <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/989418806.php> - 09.05.2001.

ლის განხორციელებაც მარტივი საშუალებების გამოყენებით შეიძლება (მაგ., სკანირებული ხელმოწერის მიმაგრებით),⁵³ ამასთან, ასეთი ხელმოწერების განხორციელების უსაფრთხოება დაბალია. მისგან უნდა განვასხვავოთ განვითარებული ელექტრონული ხელმოწერა (*fortgeschrittene elektronische Signatur*)⁵⁴, რომელიც წყვილი გასაღების გამოყენებით ხორციელდება. ხელშეკრულების ელექტრონული გზით დასადავებლად საჭიროა ხელმოწერის ტექნიკურად უსაფრთხო და სამართლებრივად აღიარებული საშუალებები.⁵⁵

ელექტრონული დოკუმენტის შედგენისას პრობლემური საკითხია მისი ავთენტიფიკაცია და ხელშეუხებლობა,⁵⁶ რისი გადაჭრაც ელექტრონული ციფრული ხელმოწერის მეშვეობით შეიძლება, რომელიც ყველაზე სანდო ხელმოწერაა და ეფუძნება სწორედ წყვილი გასაღების – ღია და დახურულის (ზოგჯერ მათ საჯარო და პირად გასაღებებსაც უწოდებენ) – გამოყენებას. ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა სიმბოლოთა ერთობლიობაა, რომლის გენერირებაც ხდება სპეციალური ალგორითმით – დოკუმენტის ტექსტისა და დოკუმენტის ხელმოწერი პირის პირადი კოდის „შერევით“.⁵⁷ როგორც ამ განმარტებიდანაც ჩანს, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა განუყოფლად აკავშირებს კონკრეტულ ელექტრონულ დოკუმენტს კონკრეტულ პირთან, უფრო ზუსტად კი, მისთვის ცნობილ ერთ კოდთან.⁵⁸ თუ შევცვლით ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერით შესრულებულ დოკუმენტს, მის თუნდაც ერთ სიმბოლოს, ხელმოწერა აღარ დაემთხვევა.⁵⁹ ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა არის ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტი, იგი გამიზნულია, გაყალბებისაგან დაიცავს მოცემული ელექტრონული დოკუმენტი, რომელიც მიღებულია ინფორმაციის კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით და იძლევა გასაღების სერტიფიკატის მფლობელის იდენტიფიკაციის, ასევე ელექტრონულ დოკუმენტში ინფორმაციის შეცვლის (დამახინჯების) არარსებობის დადგენის საშუალებას.⁶⁰ ამდენად, ელექტრონული ციფრული ხელმოწერა არის ელექტრონული ხელმოწერა, რომელიც ელექტრონული ჩანაწერის ტრანსფორმაციაა ასიმეტრიული კრიპტოსისტემის გამოყენებით. ამ პროცესის დროს პირს, რომელსაც აქვს საწყისი, არატრანსფორმირებული ელექტრონული ჩანაწერი და ხელმოწერი პირის საჯარო გასაღები, შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს: ა) მოხდა თუ არა ტრანსფორმაცია პირადი გასაღების გამოყენებით, რომელიც შეესაბამება ხელმოწერი პირის საჯარო გასაღებს; ბ) მოხდა თუ არა საწყისი ელექტრონული ჩანაწერის შეცვლა მას შემდეგ, რაც შესრულდა ტრანსფორმაცია.⁶¹

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ შეიძლება აღინიშნოს, რომ ელექტრონული დოკუმენტის ხელმოწერა ხდება სპეციალური პროგრამის დახმარებით. ამავე პროგრამას შეუძლია დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის შემოწმება. არსებობს მრავალი ასეთი პროგრამა. მაგალითად, ვერიფიკაციის მეთოდიკა Network Association-ის კომპანიის PGP (Pretty Good Privacy) პროგრამული პაკეტის მიხედვით.⁶² PGP არის კრიპტოგრაფიული პროგრამა. იგი იყენებს

⁵³ იხ. იქვე.

⁵⁴ Gesetz über die Rahmenbedingungen für elektronische Signaturen, (*Kreutz, Marcus*) <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/999071216.php> - 29.08.2001

⁵⁵ Bedeuteende rechtliche Fragen im E-Commerce <http://www.ecc-handel.de/erkenntnisse/976522639/> - 11.12.2000.

⁵⁶ Bits statt Siegel - Digitale Signatur (o.V.) <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/988280923.php> - 26.04.2001.

⁵⁷ Компьютерная экзотика, или электронный договор, <http://www.russianlaw.net/law/doc/a96.htm>.

⁵⁸ იხ., იქვე.

⁵⁹ იხ., იქვე.

⁶⁰ Федеральный закон РФ “Об электронной цифровой подписи”, 2002, статья 3.

⁶¹ საქართველოს კანონის პროექტი ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ, მე-2 მუხლი.

⁶² Компьютерная экзотика, или электронный договор, <http://www.russianlaw.net/law/doc/a96.htm>.

წყვილ გასაღებს: ღიას და დახურულს, ესენი ტექსტის ბლოკებია, რომელთა შორისაც განსაზღვრული მათემატიკური დამოკიდებულებაა. კონტრაქტები ცვლიან ღია გასაღებებს.⁶³ დახურულ (პირად) გასაღებსა და მასთან მათემატიკურად დაკავშირებულ ღია (საჯარო) გასაღებს აქვთ ის თვისება, რომ ღია (საჯარო) გასაღებს შეუძლია შეამონმოს ელექტრონული ციფრული ხელმოწერა, რომელსაც ქმნის პირადი გასაღები. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღები არის სიმბოლოთა უნიკალური თანმიმდევრობა, რომელიც ცნობილია ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის მფლობელისათვის და გამიზნულია ელექტრონულ დოკუმენტებში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესაქმნელად ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საშუალებების გამოყენებით. ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ღია გასაღები არის სიმბოლოთა უნიკალური თანმიმდევრობა, რომელიც შეესაბამება ელექტრონული ციფრული ხელმოწერის დახურულ გასაღებს, ხელმისაწვდომია საინფორმაციო სისტემის ნებისმიერი მოსარგებლისათვის და გამიზნულია, დაადასტუროს ელექტრონული ციფრული ხელმოწერის საშუალებების გამოყენებით ელექტრონულ დოკუმენტში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ნამდვილობა.⁶⁴ სწორედ ელექტრონულმა ციფრულმა გასაღებმა უნდა უზრუნველყოს ელექტრონულ კომერციაში ნდობის ფაქტორი.⁶⁵

მეტად საინტერესოა საზღვარგარეთ განხორციელებული ელექტრონული ხელმოწერის ცნობის საკითხიც. ევროკავშირის ქვეყნებში ამ საკითხის რეგლამენტაციისათვის შესაბამისი დებულებები მოცემულია ელექტრონული ხელმოწერების შესახებ დირექტივაში, რომელიც ითვალისწინებს იმ შემთხვევათა ჩამონათვალს, როცა ელექტრონული ხელმოწერის ცნობა შეიძლება: ა) ნაცვალგების საფუძველზე ხდება იმ ხელმოწერების ცნობა, რომლებიც გაკეთებულია ევროპული კავშირის ქვეყნებში, რადგან ისინი ეფუძნებიან დირექტივის ზოგად მოთხოვნებს; ბ) თუ ხელმოწერა გაკეთებულია სახელმწიფოში, რომელიც არ არის ევროპული კავშირის წევრი სახელმწიფო, მაგრამ შეესაბამება დირექტივის მოთხოვნებს, იგი შეიძლება ცნონ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ შეიძლება დაადგინოს თავისი დამატებითი მოთხოვნები ხელმოწერების მიმართ; გ) ელექტრონული ხელმოწერების ცნობის შესახებ შეიძლება დაიდოს ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები სახელმწიფოთა შორის.⁶⁶

5. ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატი არის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ღია გასაღებს და რომელსაც სერტიფიკატის ორგანო გასცემს საინფორმაციო სისტემის მონაწილეზე ელექტრონული ციფრული ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებისა და ხელმოწერის გასაღების სერტიფიკატის მფლობელის იდენტიფიკაციისათვის. ელექტრონული ციფრული ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურებისა და ელექტრონული შეტყობინების ხელმოწერ პირთა იდენტიფიკაციისათვის იქმნება ღია გასაღებების რეგისტრაციის ცენტრები (ე.წ. სერტიფიკატის ორგანო, დამადასტურებელი ცენტრი). მაგალითად, გერმანიაში ელექტრონული ციფრული ხელმოწერის სერტიფიკატის მიღება შეიძლება სპეციალურ ცენტრებში (Trust Center). თუ ცენტრი უსაფრთხოების განსაკუთრებულ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს, მას შეუძლია კვალიფიციური სერტიფიკატის გაცემა,⁶⁷ რასაც საბოლოოდ კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერამდე მივყავართ (*qualifizierte elektronische Signatur*).⁶⁸

⁶³ იხ. იქვე.

⁶⁴ Федеральный закон РФ “Об электронной цифровой подписи”, 2002, статья 3.

⁶⁵ Die elektronische Signatur auf Siegeskurs (*Blakowski, Geroald*) <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/981381971.php> - 05.02.2001.

⁶⁶ Интернационализация правового регулирования вопросов применения электронных подписей, <http://www.russianlaw.net/law/doc/a119.htm>.

⁶⁷ Die elektronische Signatur auf Siegeskurs (*Blakowski, Geroald*) <http://www.ecc-handel.de/aktuelles/archiv/989418806.php> - 09.05.2001

⁶⁸ იხ., იქვე.

ასეთი ცენტრების მუშაობა შეიძლება წარიმართოს როგორც სააკრედიტაციო, ისე სალიცენზიო წესით. ზოგი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებს მათ სავალდებულო ლიცენზირებას. აღსანიშნავია, ევროპარლამენტის დირექტივა ელექტრონული ხელმოწერების შესახებ ითვალისწინებს ცენტრების ნებაყოფლობით აკრედიტაციას და მიუთითებს, რომ მათ თავისუფლად უნდა შეეძლოთ თავიანთი მომსახურების შეთავაზება და მათი საქმიანობა არ უნდა იყოს დაკავშირებული ლიცენზიის მიღებასთან. ამასთან, ცალკეულმა სახელმწიფომამ შეიძლება დაანესონ დამატებითი მოთხოვნები. აღსანიშნავია, რომ მრავალმა სახელმწიფომ ელექტრონული ვაჭრობის განვითარების პირველ ეტაპზე სერტიფიკაციის ორგანოების სავალდებულო ლიცენზირების მექანიზმს მიანიჭა უპირატესობა.

მეტად საინტერესოა სერტიფიკაციის ორგანოს პასუხისმგებლობის საკითხი. თუ დირექტივების, მოდელური კანონისა და სხვადასხვა ქვეყნის ნორმატიულ ბაზას შევჯერებთ, შეიძლება აღინიშნოს: სერტიფიკაციის ორგანოების მიმართ გათვალისწინებულ უნდა იქნეს შეზღუდული პასუხისმგებლობის სამართლებრივი სქემა,⁶⁹ რომელიც გულისხმობს სერტიფიკაციის ორგანოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას მხოლოდ რეალური ზიანის ოდენობით, რომელიც პირს მიადგა იმის გამო, რომ ენდობოდა სერტიფიკატში მოცემულ მონაცემებს, რომელთა შემოწმებაც და დადასტურებაც სერტიფიკაციის ორგანოს ვალდებულება იყო. პასუხისმგებლობა არ მოიცავს მიუღებელ შემოსავალსა და მორალურ ზიანს.⁷⁰ ცენტრს ეკისრება პასუხისმგებლობა, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით, და თუ არ დაამტკიცებს, რომ მისი ვალდებულებების სათანადო შესრულება შეუძლებელი გახდა დაუძლეველი ძალის შედეგად, ანუ მოცემულ პირობებში საგანგებო და ობიექტურად აუცდენელი გარემოებების გამო. სერტიფიკაციის ორგანოს არ ეკისრება პასუხისმგებლობა იმ ზიანისათვის, რომელიც აღემატება სერტიფიკატში მითითებულ ზღვარს (ე.წ. „ნდობის ზღვარი“, „ნდობის რეკომენდებული ლიმიტი“⁷¹) და რომელიც დადგა სერტიფიკატში მოცემული მონაცემებისადმი ნდობის შედეგად, რომელთა შემოწმებაც და დადასტურებაც ცენტრის ვალდებულებაა.⁷² პასუხისმგებლობის ზღვარის დადგენა შეიძლება მომხმარებლისათვის სერტიფიკატის გაცემისას. ამასთან, სერტიფიკაციის ორგანოს შეუძლია მიუთითოს სხვადასხვა ლიმიტი სხვადასხვა სერტიფიკატში, საჭიროების მიხედვით. სერტიფიკაციის ორგანოს პასუხისმგებლობის საზღვრები დგინდება ისე, რომ იგი არ აღემატებოდეს განსაზღვრულ ზღვარს (ნდობის რეკომენდებულ ლიმიტს). ამასთან, ცენტრმა რომ ზიანი ანაზღაუროს, აუცილებელია, მას ჰქონდეს განსაზღვრული სანესდებო კაპიტალი, როგორც პირობა საქმიანობის დაწყებისათვის.⁷³

6. ელექტრონული საქმიანობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი მიმართულებაა ელექტრონული საბანკო საქმიანობა და მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილი – Internet-banking-ი,⁷⁴ რომელიც ხორციელდება ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელის საინფორმაციო გარემოში.⁷⁵ ელექტრონული საბანკო საქმიანობა მოიცავს საბანკო

⁶⁹ *Соловяненко*, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), Хозяйство и право, 2003, 2, 50.

⁷⁰ იხ., იქვე.

⁷¹ საქართველოს კანონის პროექტი ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული ციფრული ხელმოწერის შესახებ ითვალისწინებს ტერმინს – „ნდობის რეკომენდებული ლიმიტი“ (მუხ.2, 20).

⁷² *Соловяненко*, Правовое регулирование электронной торговли и электронной подписи (международный опыт и российская практика), Хозяйство и право, 2003, 2, 51.

⁷³ Интернационализация правового регулирования вопросов применения электронных подписей, <http://www.russianlaw.net/law/doc/a119.htm>.

⁷⁴ *Тедеев*, Банковское право, Учебник. М., 2005, 318.

⁷⁵ იხ., იქვე, 319.

საქმიანობის განხორციელებას ელექტრონულ ფორმით როგორც ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, ისე სხვა ელექტრონული საშუალებების (მაგ., ლოკალური და სპეციალური კომპიუტერული ქსელები) გამოყენებით.⁷⁶ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტის მეშვეობით საბანკო ანგარიშების მართვა მთელ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული და დინამიკურად განვითარებადი პროცესია, სწორედ ამიტომ **Internet-banking**-ი ელექტრონული საბანკო საქმიანობის ძირითადი შემადგენელი და ყველაზე პერსპექტიული ნაწილია. იგი კლიენტს საშუალებას აძლევს, ისარგებლოს თავისი ანგარიშით შორიდან დროის რეალურ რეჟიმში ინტერნეტის საშუალებით. **Internet-banking**-ის სისტემები, როგორც წესი, მოიცავს საბანკო მომსახურების თითქმის სრულ პაკეტს, რომელსაც საკრედიტო ორგანიზაცია სთავაზობს კლიენტებს თავის ოფისებში (რა თქმა უნდა, ნაღდი ფულით ოპერაციების განხორციელების გარდა). იმის მიხედვით, თუ რამდენადაა გავრცელებული შესაბამისი საბანკო მომსახურების ბაზარზე, **Internet-banking**-ის სახეებს იურიდიულ ლიტერატურაში ყოფენ ძირითად (საბანკო ანგარიშის გახსნა და წარმართვა ინტერნეტის საშუალებით, უნაღდო ანგარიშსწორება ფიზიკური ან იურიდიული პირის დავალებით მათივე ანგარიშიდან ინტერნეტის მეშვეობით, უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვა უნაღდო ფორმით ინტერნეტის მეშვეობით) და დამატებით (ინტერნეტის მეშვეობით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა თავისუფალი ფულადი სახსრების მოზიდვა ანაბარზე, მოზიდული ფულადი სახსრების განთავსება საკუთარი სახელით და საკუთარ ხარჯზე ინტერნეტის მეშვეობით, საინფორმაციო და საკონსულტაციო მიმსახურების განევა ინტერნეტის მეშვეობით) სახეებად.⁷⁷ **Internet-banking**-ის მზარდი პოპულარობა, როგორც ინდუსტრიულად მაღალგანვითარებულ, ისე სხვა ქვეყნებში, ნათლად მოწმობს მდგრადი და გადახდისუნარიანი მოთხოვნების არსებობას საბანკო მომსახურების ამ არატრადიციულ (ახალ) სახეზე.

7. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მზარდი პროგრესის პირობებში საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის განვითარება საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2003 წლის 12 ივნისს მიღებულ იქნა ბრძანება №135 საქართველოს საბანკო სისტემაში დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემის (RTGS) უქალაქოდ ტექნოლოგიაზე გადაყვანის შესახებ. ამავე ბრძანებით დამტკიცდა დებულება საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ და დებულება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ.

საქართველოს საბანკო სისტემაში ელექტრონული საქმიანობის შესახებ დებულების მიზანია საგადასხდელო ურთიერთობის სუბიექტებს შორის ბიზნესსაქმიანობის პროცესების ელექტრონულ-ტექნოლოგიური სისტემებით მომსახურებისას (ამა თუ იმ საბანკო საგადასხდელო სისტემით) მონაწილე მხარეებს (სისტემის ორგანიზატორი, სისტემის მომხმარებელი) შორის ურთიერთობისა და უფლებების მონესრიგება. სისტემის ორგანიზატორისა და სისტემის მომხმარებელთა წრე ყოველი კონკრეტული საგადასხდელო სისტემისათვის განისაზღვრება ინდივიდუალურად (პირველი მუხლის პირველი პუნქტი). დებულება ითვალისწინებს ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხების რეგლამენტაციას, როგორებიცაა: ელექტრონულ-ტექნოლოგიური საგადასხდელო სისტემებით მომსახურების ურთიერთობის სუბიექტები, სტანდარტიზაცია, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა, ელექტრონული ინფორმაციის შენახვა და განადგურება, შეთანხმება სისტემის ორგანიზატორსა და მომხმარებელს შორის ელექტრონული მომსახურების (საქმიანობის) შესახებ, სისტემის ორგანიზატორის ვალდებულებები და ა. შ.

რაც შეეხება დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემას (RTGS – Real Time Gross Settlement Systems), უნდა ითქვას, რომ მის დანერგვასთან ერთად მსოფლიოში

⁷⁶ იხ., იქვე.

⁷⁷ დაწვრილებით იხ.: *Телеев, Банковское право, Учебник, Москва, 2005, 320-330.*

მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკის საბანკო სექტორის სისტემური რისკი.⁷⁸ საქართველოში ამ ურთიერთობების რეგლამენტაციას ითვალისწინებს დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ დებულება, რომლის მოქმედება ვრცელდება ანგარიშსწორების სისტემის მონაწილე სუბიექტებზე, რომლებიც სარგებლობენ ელექტრონული საბუთებით და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერებით (1-ლი მუხლის მე-3 პუნქტი). შესაბამისად, დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების სისტემა (RTGS) არის ფულადი სახსრების მიმოქცევის ორგანიზაციული ფორმების, პროცედურების, ტექნოლოგიურ-ფუნქციური და პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების ერთიანი კომპლექსი (მე-2 მუხლი). დებულება განამტკიცებს უმნიშვნელოვანეს ცნებებს: „ელექტრონული საბუთი“ და „ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა“. დებულების თანახმად, ელექტრონული საბუთი ქალაქის საბუთის ელექტრონული ასლია, საგადამხდელო ურთიერთობის სუბიექტებს შორის ოპერაციითა წარმოების საფუძველი, აქვს ბეჭდით და ხელმოწერებით დამონმებული ქალაქის საგადახდო საბუთების ტოლფასი იურიდიული ძალა (მე-2 მუხლი). ამდენად, ელექტრონული საბუთის იურიდიული ბუნების განსაზღვრისას დებულება ეფუძნება ფუნქციურ-ეკვივალენტურ მიდგომას, რაც სათანადო წესით გაფორმებულ ელექტრონულ საბუთს ათანაბრებს დადგენილი წესით შედგენილ ქალაქის საგადახდო საბუთთან. რაც შეეხება ელექტრონულ-ციფრულ ხელმოწერას, როგორც ცნობილია, ზოგადი განმარტებით იგი არის ელექტრონული დოკუმენტის რეკვიზიტი, რომელიც გამიზნულია, დაიცვას მოცემული ელექტრონული დოკუმენტი გაყალბებისაგან. იგი მიღებულია ინფორმაციის კრიპტოგრაფიული გარდაქმნის შედეგად ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის დახურული გასაღების გამოყენებით და იძლევა გასაღების სერტიფიკატის მფლობელის იდენტიფიკაციის, ასევე ელექტრონულ დოკუმენტში ინფორმაციის შეცვლის (დამახინჯების) არარსებობის დადგენის საშუალებას. ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ეს მიზანი ასახულია ასევე დროის რეალურ რეჟიმში ანგარიშსწორების (RTGS) შესახებ დებულებაშიც, რომლის საფუძველზეც, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერა არის კომპიუტერული ტექნიკის მეშვეობით დამუშავებული სპეციალური სისტემის (ორგანიზატორის მიერ ტირაჟირებული) კრიპტოგრაფიული ალგორითმით ელექტრონული საბუთის დამუშავების შედეგად მიღებული სიმბოლოების მიმდევრობა, რომელიც ადასტურებს ელექტრონული საბუთის ნამდვილობას, მთლიანობას, ხელმოწერი პირის ვინაობას (მე-2 მუხლი). დებულება აგებულია კრიპტოგრაფიული პროგრამისათვის დამახასიათებელ წყვილი (ღია და დახურული) გასაღების გამოყენებაზე და არეგულირებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორებიცაა: პირადი ხელმოწერისა და ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის ტოლფასოვნად ცნობის პირობები, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერისა და შიფრაციის გასაღებების პასპორტი, ხელმოწერის გასაღებების პასპორტის მფლობელის ვალდებულებები, ელექტრონულ-ციფრული ხელმოწერის საშუალებების გამოყენება, ელექტრონული საბუთების გაცვლის ზოგადი პრინციპები და ა. შ.

8. საქართველოში საბაზრო-ეკონომიკური ხასიათის ურთიერთობების წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია თავისუფალი სამენარმეო გარემო და ელექტრონულ ბიზნესში ჩართული კონკურენტუნარიანი სამენარმეო სტრუქტურები. ელექტრონული ვაჭრობის განვითარებისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთიანი საკანონმდებლო სტრატეგიის შემუშავება და მის შესაბამისად ელექტრონული ვაჭრობის, ელექტრონული ხელმოწერის საკითხების საკანონმდებლო წესით რეგლამენტაცია. აღნიშნული შესაძლებელია ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერების შესახებ საკანონმდებლო აქტების სინქრონულად მიღებით. ელექტრონული ვაჭრობის შესახებ კანონი აუცილებლად უნდა შეიცავდეს დებულებებს:

⁷⁸ *Телеев, Банковское право, Учебник, Москва, 2005, 289.*

– ელექტრონული დოკუმენტის სამართლებრივ აღიარებასა და მის ნამდვილობაზე. ამ საკითხის რეგლამენტაცია აუცილებლად უნდა მოხდეს ე.წ. „ფუნქციურ-ეკვივალენტური მიდგომით“, რომელიც „ელექტრონული ვაჭრობის შესახებ“ UNCITRAL-ის მოდელური კანონის ფუძემდებლური პრინციპია და ეფუძნება ქალაქდზე დოკუმენტების შედგენისათვის წაყენებული იურიდიული მოთხოვნების მიზნებისა და ფუნქციების ანალიზს, რათა დადგინდეს, ეს მიზნები და ფუნქციები როგორ უნდა იქნეს მიღწეული ან შესრულებული საინფორმაციო ტექნოლოგიების ჩარჩოებში. ამ მიდგომის საკანონმდებლო წესით განმტკიცება უზრუნველყოფს ქალაქდზე შესრულებული დოკუმენტისადმი წაყენებული მოთხოვნების დაცვას დოკუმენტის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შედგენისას;

- ელექტრონული დოკუმენტების შენახვის წესზე;
- ელექტრონული შეტყობინების გაგზავნისა და მიღების წესზე (დრო, ადგილი);
- კანონის მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა დაეთმოს ელექტრონული ვაჭრობის განმახორციელებელ პირთა უფლებებს, მოვალეობებს, მათ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ელექტრონული ხელმოწერის შესახებ კანონს, მის მიმართ შეიძლება ჩამოვყალიბოთ შემდეგი მოთხოვნები:

– კანონი მთლიანად უნდა აიგოს ე.წ. „ტექნოლოგიური ნეიტრალურობის“ პრინციპზე, რომლის თანახმადაც, პირადი ხელმოწერის ნებისმიერი ელექტრონული ანალოგის სამართლებრივი აღიარება და მისი იურიდიული ძალა არ შეიზღუდება გამოყენებული ტექნოლოგიის მიხედვით. თუ ელექტრონული ხელმოწერა, ელექტრონულ-ციფრული და სხვა სახის, იქნება კანონით დადგენილი წესით გაფორმებული, მაშინ შესაბამისი ხელმოწერილი დოკუმენტი დააკმაყოფილებს მარტივი წერილობითი ფორმის ფორმალურ მოთხოვნებს;

– ელექტრონული ხელმოწერების შესახებ ევროპარლამენტის დირექტივის დებულებების შესაბამისად, სასურველია, ღია გასაღებების რეგისტრაციის ცენტრების (სერტიფიკაციის ორგანოების) საქმიანობა დაეფუძნოს მათ ნებაყოფლობით აკრედიტაციას და არა სავალდებულო ლიცენზირებას;

– ცალკე უნდა განისაზღვროს სერტიფიკაციის ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხი (პასუხისმგებლობის შეზღუდვის საფუძვლები).

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ელექტრონული ვაჭრობისა და ელექტრონული ხელმოწერის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის ფორმირება უნდა მოხდეს განვითარებული ტექნოლოგიების მქონე ქვეყნების მოქმედი კანონმდებლობის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული მოდელური კანონებისა და რეკომენდაციების ბაზაზე, ნორმათა ჰარმონიზაციისა და ერთიანი მეთოდოლოგიის შემუშავების საფუძველზე. მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი ჩვენი ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემასთან ადაპტირება.